სახალხო გაზეთი

№ 465 პარასკევი, 2 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 465

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მარიამ გრიგოლის ასული და იპპოლიტე ზურაბის ძე ტატიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 2 დეკემბერს, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარ შვილის

იოსებ იპპოლიტეს ძის ტატიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—წირვის შემდეგ. (1—965—1)

ახალი კლუბი

შაბათს, 3 დეკემბერს 1911 წ. მეხუთე

კონცერტი

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით და გამოჩენილ მესკრიპკე მ. ტ. ვახილევის მონაწილეობით. შესრულებულ იქნება ორკესტრისაგან: უვერტიური ოპ. „ძალა ბედისა"—ვერდისა. სერენადა № 3 ფოლკმანისა. სოლო ვიოლონჩელზე შეასრულებს გ. ბედელერი. ინტერმეცო ოპ. „სოფლის პატიოსნება"—მასკანისა, ტორეადორ ანდალუზკა რუბინშტეინისა. ცეკვა ბალ. „კოპელია"—დელიბისა. ყირიმის ესკიზები ა სპენდიაროვისა, აივაზოვსკის სახსოვრად დაწერილი. დიდი ფანტაზია „ოტელლო". ორკესტრთან შეასრულებს მ. ტ. ვახილევი. სიკვდილი აზასი. ცეკვა ანიტრისა—გრიგისა. ლეკური ოპ. „დალარა" იპოლიტოვ-ივანოვისა.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდის. ფასები გალერეიაში 40 კ. 10 კ.—მდე. ფასები თეატრში 1 მ. 20 კ.—მდე. სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდენ. 25 კ კონცერტის შემდეგ ლოტო.

ანონსი: ხამშაბათს, 6 დეკემბერს, 1911 წ., სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. (3—1608—2)

ავჭალის აუდიტორია

შაბათს, 3 დეკემბერს,

ლიზა ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების წლის თავზე მართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენ. იქნება

ხანუმა, კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბეჟანიშვილი, მარანელი, ნარკიძე, აფხაზიშვილი, ბ-ნნი ჯაბაური, ძნელაშვილი, ლადო, მესხეთელი, ანაშვილი და სხვანი.

რეჟისორი კ. ყიფიანი. მორიგე წევრნი: ს. რომანოშვილი, ა. რაქვიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. (3—1332—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—187)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (ი 100—1534—38)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

ამბულატორიულ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირბილოვისა ე. გ.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

ჯავახიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მამალაძიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბ.ბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ვანხვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშ., ოთხშაბ., და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და [illegible] ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე ზ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

[illegible] ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფარაჯოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible]. 1099 622

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულებ., სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.299.28)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი ბაბაშვილისა

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ [illegible] საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ვაგზლის კერძო სამკურნალო

[illegible] ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ხ. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ზ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (წ.—1090—226)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა ბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. ჯაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—56)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს ექიმი ზ. ლოლობერიძე ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. გლიბაძის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—12)

ექიმი ნ. ტ. მულინი ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—38)

ექიმი ი. მაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (1—48)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანოშვილისა.

ექიმი ვ. ნ. მაზაქიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექტ. N 36, ტელეფონი 322. 25—1442—86

ექიმი მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე. გლიბაბოვის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—52)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—69)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რუსეთის მთავრობას ინგლისისათვის განუცხადებია, რომ იგი თავის მეორე ულტიმატუმში წამოყენებულ მოთხოვნათა ასრულებით დაკმაყოფილდება და აზრადაც არ აქვს დახმარება გაუწიოს ექს-შახს მაჰომედ-ალის ტახტის დაბრუნებაში. სხვათა შორის, ამ აზრს ოფიციალური გაზეთი „როსსია" ადასტურებს.

გაზეთი „გოლოს კავკაზა" ეხება რუსეთის უკანასკნელ ნაბიჯს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რუსეთის სპეციალური მიზანია სპარსეთში ავტორიტეტულ და იმდენად ძლიერი მართველობის დამყარება, რომელიც რუსების ხიშტების დაუხმარებლად შესძლებს წესრიგის დამყარებას და საჭიროდ აღარ გახდის სპარსეთში რუსის ჯარის ყოფნას. მერე ვინ შექმნის სპარსეთში ამ ძლიერ მთავრობას, „გოლოს კავკაზის" აზრით?—ექს-შაჰი მაჰომედ-ალი!

„ჩვენ ინგლისელთა და გერმანელთა არა ნაკლებ გვსურს სპარსეთის საკითხის საჩქაროდ დაბოლოვება,—სწერს „გოლოს კავკაზა",—მაგრამ ჩვენ იგი ზედაპირულად და აჩქარებით არ უნდა გადავწყვიტოთ. თუ ინგლისი თავისას არ დაიშლის და წინააღმდეგი იქნება მაჰომედ-ალის გამეფებისა, მაშინ ჩვენი ჯარი თეირანში ან ძლიერ დიდხანს იდგება და ან ვერავითარ მიზანს ვერ მივაღწევთ".

როგორც ხედავთ, თურმე მხოლოდ მაჰომედ-ალის შესძლებია სპარსეთში ძლიერი მთავრობის დამყარება და თუ იგი კვლავ არ შეიქმნა ირანის მბრძანებელი, მაშინ, გაზეთის აზრით, რუსეთის ჯარს ან დიდხანს დასჭირდება თეირანში ყოფნა და ან იგი სრულიად ვერას მიაღწევს. ტფილისის „გოლოს კავკაზს" ალბად ჯერ არ გაუგია, რომ დღეს სპარსეთის საქმეებზე პეტერბურგში ცოტა სხვა კილოზე ლაპარაკობენ. მაგრამ არა უშავს რა, ცოტა დრო გაივლის და ისიც გაიგებს!...

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

30 ნოემბერი.

საიდუმლო სხდომას თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.

ბენიგსენის მოხსენებით მოიწონეს შეთანხმებელი კომისიის მიერ ერთხმად მიღებული წინადადება საზღვარგარეთ გაგზავნილ ოფიცერთათვის ფულის გადადების თაობაზე.

შიდლოვსკის მოხსენების შემდეგ მიიღეს წინადადება, რითაც სავარჯიშო სროლისათვის ტყვიის მტყორცნელთა კომანდის პატრონთა რიცხვი დიდდება.

განსახილველია სამხედრო ბეგრის წესდების შეცვლის კანონ-პროექტი.

მომხსენებელმა პროტოპოპოვმა შემდეგი სთქვა: 1874 წლის წესდება დაძველდა და შეცვლა უნდა. ახალი კანონი გლეხებს არ დააწვება კისრად, არამედ უფრო ინტელიგენციას, გლეხობას კი საქმეს გაუადვილებს კიდეც. კანონ-პროექტი შემდეგს თხოულობს: პირველი ხარისხის შეღავათი ეძლევა ოჯახის მარჩენელ შვილს, თუნდაც მამა მოხუცებული არ იყოს და მუშაობა შეეძლოს, ან დაქვრივებული იყოს; მეორე ხარისხი შეეხება მათ, ვინც ერთი შვილია, მამა ჯანმრთელი ჰყავს, 50 წლისა და ძმებს მუშაობა არ შეუძლიანთ. მესამე შეღავათი ისეთ ოჯახს ეხება, სადაც ჯანმრთელი მამა ჯერ 50 წლისა არ არის. უკანასკნელ ორ შემთხვევაში შეღავათი შეიცვლება ვადის გადადებით, თუ რომელიმე ძმა ჯარის კაცადაა გაყვანილი მის ვადის დაბრუნებამდე. განათლებულთათვის შემდეგი შეღავათია: პირველ დაწყებით სკოლაში სწავლა დამთავრებული სამ წელიწადს იმსახურებს, ვისაც ნება აქვს აფიცრად ყოფნისა და ეგზამენის დაჭერისა — 2 წელიწადს. პირველ დარგის შეღავათიანი ფლოტში ვერ დაინიშნებიან. ფარმაცევტებს და დანტისტებს (კბილის ექიმებს) განსაკუთრებულ შეღავათს არ მისცემენ. სამხედრო ბეგრისაგან გაანთავისუფლებენ სამღვდელო პირთ გარდა, სექტანტთა მოძღვრების, მთავრობის მიერ დამტკიცებულ სხვა სარწმუნოების სამღვდელო პირთ, რომელთა სიას უმრავლესად დაამტკიცებენ, სამხატვრო სასწავლებელთა პენსიონერებს, მთავრობის სტიპენდიანტებს, საზღვარ-გარეთ საპროფესოროდ გაგზავნილთ და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელში საპროფესოროდ დატოვებულებს, თუ საპედაგოგიო მოღვაწეობა 30 წლამდე დაუწყიათ. ექიმთა და პედაგოგთ, აქამდე განთავისუფლებული, ეხლა ორის წლით გაიწვევენ. შეღავათი მიეცემათ სწავლის დამთავრებისთვის საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებს. აფიცრების სათადარიგოდ ყოფნის ვადა ხუთ წლამდე გრძელდება. არაჩვეულებრივ სამხედრო საჭიროების დროს განათლებულთათვის შეღავათი უქმდება. თავის ნებით სამხედრო სამსახურში შესულთ თავის ნებით (вольноопредѣляющіе) სახაზინო შეინახავს. მათ წელიწადსა და 8 თვეს უნდა იმსახურონ.

ვინც სამხედრო ბეგრის მოხდას თავს მოარიდებს, მათთვის არსებული სასჯელი დიდდება.

მომხსენებელი ბენიგსენი. კომისია საერთოდ მომხრეა კანონ-პროექტისა, მარტო 149 მუხლში შეიტანეს შესწორებანი. კომისია წინადადებას იძლევა ახალმა კანონმა მოქმედება დაიწყოს შესაკრებ ადგილზე გამოცხადების დღიდან. კომისია 395 მუხლის გამორიცხვას მოითხოვს, ვითარცა ანახრონიზმისას. მუხლი იმ ებრაელთა ოჯახს, ვინც სამხედრო ბეგარას გაექცევა, სამას მანეთის გადახდას ავალებს.

მთავარი შტაბის უფროსი. დიდის შეღავათის გამო აქამდე ხალხის მარტოოდენ 55 პროცენტი იხდიდა სამხედრო ბეგარასა. წესდების შეცვლას მიზნადა აქვს რუსის ჯარის კარგად მომზადება. იგი ისეთი უნდა იყოს, რომ გაჭირების დროს ბრძოლის ველზე თავი ისახელოს და აასრულოს მოვალეობა მეფისა და სამშობლოს წინაშე. (მემარჯვენეთა ტაში).

საიდუმლო სხდომის დანარჩენ ნაწილის გამოქვეყნება აკრძალულია.

საღამოს სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

სტოლიპინის მოკვლის თაობაზე მთავრობის მერ წამოყენებულ განმარტების განხილვას განაგრძობენ.

კელეპოვსკი შემკითხველთ აფრთხილებს, იმათ სამასხაროდ ნუ გახდებით, ვისაც სტოლიპინის სიკვდილმა გული სიხარულით აუძგერა. სოციალ-დემოკრატების შეკითხვას მიზნად მთავრობის სახელის გატეხა აქვს. სტოლიპინი მოჰკლეს, ვინაიდან ნაციონალურ გზას ადგა. ყველაფერს აპატიებდნენ სტოლიპინს, ხოლმშჩინის გამოყოფასაც, ფინლანდიის კანონ-პროექტსაც, ხოლო კრედიტის ნაციონალიზაციას კი—ვერა. იგი ებრაელებს შეეხო და დაიღუპა კიდეც.

მილიუკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრს ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს ხომ დიდი ხანია ვიცით, ლოპუხინის წერილს შემდეგ—მინისტრი თავის უწყების სტუმარია. მილიუკოვი პროვოკაციას და მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას შეეხო და სთქვა,—აქ პროვოკაციასთანა გვაქვს საქმეო. მიხარიან, რომ სათათბიროში სიტყვა არ შემაწყვეტინა და სხდომის სურათი არ განმეორდა. იგი ერთის ჯგუფის წყალობით მოხდა და არ მესმისო, ამბობს მილიუკოვი, ცენტრი რათა სცდილობს პასუხის-მგებლობისაო. ტყუილად სცდილობს ბ-ნი მინისტრი დაგვიმტკიცოს, აზეფს შემდეგ პროვოკაციის ცნობები აღარ მოგვსვლიაო. განა პირველ სექტემბრის მკვლელობა გერასიმოვის რეცეპტით არ მოხდა? მინისტრისაგან ჩვენ არაფერს მოველით. ის ცენტრის ხალხს უფრო შეუთანხმდება ტრაქტირის ანგარიშისა და დავთრების გასაშინჯად. ჩვენ სხვას მოველით და ამიტომ არა ჩვეულებრივ მდგომარეობისა და დამცველ პოლიციის გაძლიერების უკანონობის შესახებ შეკითხვა შემოგვაქვს. ყველა ეს რუსეთის პროვინციაში კანონსა და კანონიერ მთავრობას სულს უხუთავს. რადგან ერთი საათი ვადა იყო, მოლაპარაკემ ვერ დაათავა სიტყვა.

პოკროვსკი მე 2 ამბობს, სამწუხაროა, მინისტრმა პროვოკაციისა რომ არაფერი იცისო. სოციალ-დემოკრატების შეკითხვის თაობაზე მინისტრმა სთქვა, არ ახალია, ძველიაო, დიაღ, შეკითხვაც ძველია და პასუხიც: „პროვოკაცია არა ყოფილაო". მოლაპარაკე შემდეგ შეეხო სოც.-დემ. მეორე სათათბიროს ფრაქციის საქმეს და ბროდსკის როლს.

თავმჯდომარემ დაუშალა, მაგას ნუ შეეხებით.

პოკროვსკი პროტესტს აცხადებს და ამბობს, სიტყვას ველარ გავაგრძელებ, მაგრამ ფრაქციის განცხადებას კი წავიკითხავო. ამ განცხადებაში მოლაპარაკე ისევ მეორე სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის საქმის პროვოკაციის თაობაზე ლაპარაკობს.

თავმჯდომარემ ხელმეორედ დაუშალა ამ საკითხს შეხებოდა.

პოკროვსკიმ ეს ადგილი გამოსტოვა და სათათბიროს უმრავლესობას მიჰმართა, სოც.-დემ. პირში ბურთსა გჩრით და გსურთ ხალხს იარა გამოურწყოთო (მემარცხენეთა ტაში).

კამათი გათავდა 141 ხმით 101 ოპოზიციონერთა წინააღმდეგ. მიიღეს ოქტომბრისტების შემდეგი ფორმულა: მოისმინა რა სათათბირომ მთავრობის განმარტება და მისი დაპირება სტოლიპინის მოკვლის საქმის გამოძიებისა, საპოლიტიკო პოლიციის რეორგანიზაციისა და მსაჯულთათვის დაქვემდებარებისა, იგი მორიგ საქმეებზე გადავიდა.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საქალაქო არჩევნები.** დღემდე საქალაქო საარჩევნო კრებაზე შესასვლელი ბილეთი წაიღეს: მეოთხე საარჩევნო უბნის ამომრჩევლებმა—117, მეხუთისამ—306, მეექვსისამ—57 და მეშვიდისამ—64.

— დამატებით საარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებს ძველის ბილეთებით შეუშვებენ.

— ტფ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას იმ პირთა ცნობა მოსთხოვა, რომელნიც 27 ნოემბერს ქალაქის საბჭოს ხმოსნებად და კანდიდატებად იქმნენ არჩეულნი.

◆ **გამოფენა.** ბავშვთათვის მზრუნველმა საზოგადოებამ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას სთხოვა, საზოგადოების შე-

ნება დართოს 15-დან 31 დეკემბრამდე ბავშვთა ნამუშევარის გამოფენის გასამართავად.

◆ **სამრეწველო მეხილეობა.** 6 დეკემბერს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოხდება, რომელზედაც გარეშე პირნიც იქმნებიან მოწვეულნი. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი სამრეწველო მეხილეობის შესახებ.

◆ **პირუტყვთა გამოფენა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება 1912 წელს ყარსში პირუტყვთა გამოფენას გამართავს. საზოგადოების საბჭომ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს თხოვნით მიმართა, ამ საქმეში 1,000 მანეთით დაგვეხმარეო.

◆ **გენერალი პოტტო.** კავკასიის სამხედრო შტაბის საისტორიო განყოფილების უფროსი, გუშინ დაასაფლავეს სამხედრო ტაძრის გალავანში. დასაფლავებას დაესწრნენ კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ და ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელნი.

◆ **სრულიად რუსეთის მებაღეობის საიუბილეო გამოფენაზე,** რომელიც სექტემბერში მოსკოვში გაიმართა, ჯილდოები მიეცათ ტფილისის შემდეგს ფირმებს: ოქროს პატარა მედლები მიეცა: არტემ მიხეილის ძეს დოლაბერიძეს კახურ ღვინისთვის და ტიგრან გიორგის ძეს ხანგანეზოვს—მსხლისა და ვაშლისათვის. ვერცხლის დიდი მედლები მიეცათ—ძმებს ა. და ნ. ულუხანოვებს, ალექსი სოლომონის ძეს მარამარაშვილსა და ბალდასარ გიორგის ძეს ლუარსაბოვსა კახურ ღვინისთვის და ა. დიუმას თაფლისა, თაფლის ღვინისა და თაფლის ძმრისათვის. ვერცხლის პატარა მედალი მიეცა „კახეთის საზოგადოება“-ს და ძმებს ს. და გ. საინოვებს კახურ ღვინისათვის.

◆ **მოუსავლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ კავკასიის ნამესტნიკს დეპეშით აცნობა, რომ მოუსავლობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გაღებული ფული შემწირველებმა სამინისტროს სასოფლო სასურსათო ნაწილის სამმართველოში გაგზავნონ, ან წითელის ჯვრის საზოგადოებაში და ან ამ საზოგადოების ადგილობრივ დაწესებულებებში..

◆ **ჟურნალი „ნაკადული“** რედაქციამ მიიღო ჟურნალ ნაკადულის ნოემბრის ნომრები: მოზრდილთათვის № 11 და მცირეწლოვანთათვის-№ 22.

◆ 24 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, ბაგრატიონის ქუჩაზე მიმავალს ფარსეგ ზიროიანცს ვიღაც უცნობი წინ გადაუდგა, ჩხუბი აუტეხა და შემდეგ დანით გულში მსუბუქად დასჭრა. პოლიციამ უცნობი შეიპყრო. აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრის მცხოვრები მელიტონ აბხაზოვი.

◆ 30 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ალექსანდრე დალაქიშვილმა პოლიციაში მიიყვანა ჩვრებში გახვეული 2—3 დღის ბავშვი, მდედრობითის სქესისა, რომელიც თავის სახლის წინ ეპოვნა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მეიდნის ქუჩაზე ჩხუბის დროს ხაჩატურ ვართანოვმა დანით მძიმედ დასჭრა მუცელში რუბენ ყაზარიანცი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. დამჭრელი შეიპყრეს.

◆ 30 ნოემბერს ტფილისში 48 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 29 ნოემბერს მოხდა. საბჭომ მსჯელობა იქონია ტფ. სამეღვინეო სასწავლებლის მდგომარეობაზე და დაადგინა: 1) დაევალოს საბჭოს წევრს ვ. ი. რცხილაძეს, შეადგინოს პროექტი სკოლის სრულ რეორგანიზაციისა და წარმოუდგინოს განსახილველად ჯერ საბჭოს და შემდეგ საზოგადოების საერთო კრებას, 2) წინადადება მიეცეს სკოლის გამგეს, წარმოუდგინოს საბჭოს დაწვრილებითი ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელთაც წინა წლებში ხსენებული სასწავლებელი გაათავეს და 3) დაევალოს საბჭოს წევრს ი. ს. ჯაბადარს, რათა საბჭოს სახელით დახმარება სთხოვოს ამ სკოლაში სტიპენდიების დასაარსებლად ტფ. ქალაქის თვით-მმართველობასა და ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობასა.. ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა, წინადადება მისცეს საზოგადოების მომავალ საერთო კრებას, მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტში თავის წარმომადგენლებად საზოგადოების წევრნი მ. ა. ვერმიშევი, ვ. ი. რცხილაძე და ს. ფ. ხუნდაძე აირჩიოს. საზოგადოების მდივნის კანდიდატებად საბჭომ ვ. ი. რცხილაძე და ა. გ. ევანგულოვი დაასახელა.

სასამართლო.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სხდომა**, რომელიც საქმეების გასარჩევად შულავერს იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ **მეფუტკრეობის ბაზარი-იარმუკა** 20 ნოემბერს გაიხსნება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში და 31 დეკემბრამდე გასტანს.

ქუთაისი

◆ ამ დღეებში ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლები პეტერბურგიდან მოელიან **რევიზორ საგაიცკის**.

◆ ქალაქის გამგეობამ საამშენებლო კომისიის და დრამატიული საზოგადოების წევრებთა თანდასწრებით დაათვალიერა რამდენიმე ადგილი **მომავალ თეატრის** შენობისათვის. ჯერ-ჯერობით უფრო მოიწონეს ქალაქის საბჭოს გვერდით მდებარე ადგილი.

◆ 28 ნოემბერს, ქალაქის გამგეობამ მოიწვია ვაჭრების ხელოსნების, ნოქრებისა და ქარგლების წარმომადგენლები, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის **ნორმალურ დასვენების** სავალდებულო დადგენილების შესამუშავებლად. კომისიამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი შეიმუშავა, რადგან საჭიროთ დაინახეს უმაღლესი მთავრობის მიერ დამტკიცებულ ნორმალურ პროექტის ქართულად გადათარგმნა.

◆ ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა მომავალ 1912 წლის სავარაუდო **შემოსავალ-გასავლის** განხილვას.

◆ 29 ნოემბერს **შავი ქვის მრეწველთა** მე-14 კრება გაიხსნა ინჟინერ ამ. გრ. ცეიტლინის თავმჯდომარეობით.

◆ 29 ნოემბერს 12 საათზე გაზეთ „მნათობის“ რედაქცია გაჩხრიკეს: ხელთნაწერები წაიღეს და რამდენიმე პირი დაატუსაღეს.

◆ შავი ქვის მრეწველთა კრების თავმჯდომარემ გ. ცეიტლინმა გუბერნატორისაგან ნებართვა აიღო, რომ ხსენებულ კრებაზე გარეშე პირთაც მიეცემათ უფლება დასწრებისა. ამრიგად ამ რვა წლის განმავლობაში ეს პირველი საჯარო კრებაა. „კოლხიდა“.

შეცდომის გასწორება. წასულ სამშაბათის ნომერში შეცდომით არის დაბეჭდილი პირველ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთაგან ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა, ი. გ. ხარაძემ. უნდა იყოს: ა. მ. ხარაძემ

ჟურნალისტის დღიური

ნა

ნიმუში უპრინციპობისა.

როდესაც პრესაში პრინციპიალურ მსჯელობის ნაცვლად პირადს ნიადაგზე აღმოცენებული კინკლაობა ისადგურებს, ყველა ვალდებულია ასეთი მოვლენა დაჰგმოს. საუბედუროდ, ჩვენში არამც თუ ჩუმობენ ამ გვარ მოვლენას, ხშირად მხარსაც უჭერენ. სამწუხაროა ასეთი მოვლენა, მაგრამ ამასთანავე ერთად ფრიად დამახასიათებელიცაა თანამედროვე მომენტისა. საზოგადოებრივ ცხოვრების მოქანცულობის დროს ყოველთვის ამოტივტივდებიან ხოლმე ამღვრებულ ფსკერიდან ისეთი ელემენტები, რომლებიც არსებითად ვერ იგუებიან პრინციპიალურ მსჯელობას და თავიანთ დაწვრილმანებულ გრძნობა-გონების ნაყოფი პრესაშიც გადააქვთ. იხშობა, იწამლება ატმოსფერა, მაგრამ მაინც სასოებას არა ვკარგავთ, რადგანაც ვიცით რომ იმას, რაც დრომ მოიტანა, დროვე წაიღებს.

იმისთანა შემთხვევებში, როდესაც დაწვრილმანებული პრესა კადნიერების უმაღლეს საფეხურს აღწევს, ყოველგვარი ფასი და ღირებულება ეკარგება პრინციპიალურ მსჯელობას. მაგრამ პრინციპს სწორედ იმიტომ ჰქვიან პრინციპი, რომ ამ დროებით ამოტივტივებულ ელემენტებს მისი ადვილად გატეხა ვერ შეუძლიანთ. გველის სისინს მოგაგონებთ ქანც-გაწყვეტილი ბუზღუნი ამ გვარ ელემენტებისა, ისინი მხოლოდ შხამით საზრდოობენ. საკმარისია ამოაცალოთ შხამიანი ენა და ხელში შეგრჩებათ ყოვლად უმწეო არსება, რომლის გაჭყლეტას შვიდი წლის ბავშვიც კი ადვილად მოახერხებს.

ასეთია სწორედ გაზეთი „დილა“. დღიდან თავის დაარსებისა იგი სისინებს; პრინციპიალურ მსჯელობისათვის ძალ-ღონე არ შესწევს და იგინება. ჩვენი ღირსების დამამცირებლად მიგვაჩნია კამათის ატეხა ისეთს გაზეთთან, რომელიც პრინციპიალურ კამათს ერიდება და ინტრიგანულ ქსელის გაბმითა ჰსურს ლელოს გატანა. არც ეხლა გავიმეტკამათებით, მხოლოდ აღვნიშნავთ უკიდურეს კადნიერების ნიმუშს, რომ ჩვენმა მკითხველმაც დაინახოს, რა ჯურის კალმოსნები თარეშობენ დღეს მოპარტახებულ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

„სახალხო გაზეთი“-ს ეხლანდელი რედაქცია,—სწერს „დილა“-ში ვინმე ისარი,—რომელსაც, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ბედაურები უკვე ჩამოსცილდნენ, ფრიად სამწუხარო სურათს წარმოადგენს. იყო დრო, როდესაც ეს გაზეთი გ. რცხილაძის ხელში იყო და თავისი მოწინავე წერილებით, რომლითაც (თუ რომელთაც?) ჩვენ ცხოვრებასთან თითქმის არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა, იგი ისე მიასუსტა, რომ მთლად ღონე-მიხდილს ჩვენი დღევანდელი მეფისტოფელი მ. მაჩაბელიც კი მოევლინა და ვაჭრობა დაუწყო. მაშინ, ვგონებ, როგორც იყო, ეს გაზეთი მეფისტოფელის ბრჭყალებიდან ისევ იმ ანგელოზმა გადაარჩინა, რომელსაც საადგილ-მამულო ბანკს უწოდებენ. თვით ბ-ნი რცხილაძე ისეთი ყმაწვილი გამოდგა, რომ თავისი დღენი ამ შემოხსენებულ ანგელოზს შესწირა და გაზეთს, ასე თუ ისე, მისგან შველა შიეცა“.

აი, ამნაირი მწერლები ამოატივტივა ზედა-პირზე აშმორებულმა გუბემ. ვის შეუძლიან გულ-გრილად აიტანოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც პრესის წარმომადგენლები პირადს ნიადაგზე გადააქვთ მსჯელობა და ასეთის ურცხვი საბუთებით. ლამობენ ლელოს გატანას! ამოწერილი სიტყვები ნაყოფია უძლურ გაბოროტებისა, ნაყოფია ბრმა პირად სიძულვილისა, რომელსაც საზოგადო საკითხებთან არაფერი საერთო არა აქვს. ამისთანა ხალხი გამომდგარა დღეს და ისეთი კილოთი გვაძლევენ დარიგებას, თითქოს საქართველოს მხსნელები მოევლინებოდნენ. საბრალოა ის საზოგადოება, რომელიც იძულებული ხდება ასეთი დაბალ ღირსების ინსტიქტებით გაჟღენთილი პირები თავის წევრად ჩასთვალოს. სხვას არაფერს მოგახსენებთ. ბ-ნ ისარისა და მის მსგავსთა უბრალო, ილაჯ-გაწყვეტილი ბუზღუნი მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ჩვენ სწორედ იმ ნიადაგზე ვდგევართ, რომელზედაც უნდა იდგეს საზოგადოებრივი ორგანო. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ხომ ბ-ნ ისარისა და სხვათა სიმპატიასაც დავიმსახურებდით. მაგრამ ღმერთმა გვაშოროს მათი სიმპატია: იგი ჩვენი ზნეობრივ სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა...

შინაური.

შინ და გარედ

I

სპარსეთი და რუსეთი.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რუსეთმა სპარსეთში 4000 ჯარის კაცი გაგზავნა, რომელთაგანაც მხოლოდ ორასმა კაცმა მიაღწია ყაზვინს, დანარჩენი კი ჯერ ისევ გზაშია. გარდა ამისა, რუსეთმა სპარსეთს ულტიმატუმი წარუდგინა, რომელიც სამი პუნქტისაგან შესდგება: პირველი პუნქტი შუსტერ-მორგანის გადაყენებას მოითხოვს, მეორე ვალად ადებს სპარსეთს ინგლისისა და რუსეთის დაუკითხავად არ მოიწვიოს უცხოელები, ხოლო მესამე კი სპარსეთისაგან იმ ფულის გადახდას მოითხოვს, რომელიც ამას ჯარის გაგზავნაში დაეხარჯა.

ამ ულტიმატუმმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველას ეგონა, რუსეთი პირდაპირ საბაბს ეძებს სამხედრო ოკუპაციისათვისო; ამ აზრს

მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“.

(1852—1863 წ.)

გაგრძელება.

4.

საზოგადოებრივი ჟურნალი ან უნდა მოკვდეს, ან უნდა ჰქონდეს რამე კავშირი საზოგადოების მოთხოვნილებასთან. „ცისკარმა“ ვერ გაბედა და ვერ დაიჭირა ხელში პროგრესიული დროშა. იგი მებრძოლი არ იყო. „მებუკეები“ და „მოლაყბეები“ არღვევდნენ მის მყუდროებას. მაგრამ ესენი მიუხედავად ათასგვარ პროტესტისა, დროებით მაინც ჩამოშორდნენ ჟურნალს. საზოგადოებაში, მერე იმისთანაში, როგორიც იყო იმ დროინდელი საქართველო, ყოველთვის იბადება მთელი სერია იმგვარ საკითხებისა, რომელთა გარკვევის დროს უსათუოდ შეილახება ვისიმე თავმოყვარეობა და უსათუოდ რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი ნაწყენი და დამდურებული დარჩებოდა.

დროებით დავანებოთ თავი „პროტესტანტებს“ და განვაგრძოთ „ცისკრის“ განხილვა. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული წინა წერილში ის გარემოება, რომ „ცისკარში“ აღიძრა საკითხი ქართულ ენის შესახებ. ახლა ეს საკითხი ხელმეორედ გამოცოცხლდა და მის გარშემო ატეხილი კამათი არ არის მოკლებული ინტერესს. „ცისკარში“ დაიწყეს კრიტიკული წერილების წერა. თუმცა ცოტად თუ ბევრად უკვე მიჩვეული იყო საზოგადოება მსჯელობას, მაგრამ ეს რადაც „კრიტიკა“ მაინც აშინებდა ზოგიერთებს. კნ. ბარბარე ჯორჯაძეს, მაგალითად, ამშვიდებდა ივ. კერესელიძე: „ნუ ერიდებით გარკვევს, რომელიც შემოვიტანეთ ჩვენს ჟურნალში (კრიტიკას),—ყვედრებას, როგორც უწოდებთ თქვენ. ჭეშმარიტი ნიჭი თავის გზაზედ მივალს. ნათქვამია ქართულად: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო. მოგეხსენებათ, რომ გარკვევა (კრიტიკა) არის პატივი ლიტერატურის ხნულისათვისო“.[1]

როგორც უნდა სწერონ, რა წესს მისდევდნენ ქართველი მწერლები? ახლად ფეხზედ ადგმულ პრესისათვის ეს იყო დიდი საკითხი. ლავრენტი არდაზიანის აზრით „ქართული პოეზია უფრო განვითარებულია, მანამ პროზა. ლექსებს სწერენ მსუბუქად, მარტივად, ცხოველად; ყოველი სიტყვა ხტის, თამაშობს. პროზადა ჩვენი არის მძიმე მიუდრეკელი, ძნელი, უძლური, სიცოცხლე მოკლებული, ცივი, მაშინ როდესაც ქართული ენა მერხევი და სამოაო“.[2] არდაზიანის აზრით ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენში ვითომ ორგვარი ფორმა იყო წერისა, სამღვთო წერილის და საერო (სახალხო). პირველი მძიმეა, მეორე მსუბუქი. მოლექსენი უფრო მეორე ენის გავლენით არიან აღზრდილნი. და ამიტომაც პოეზიის ენა სხარტული და მსუბუქია, პროზის ენა კი, რომელსაც უფრო მეტი კავშირი აქვს სამღვთო წერილის ენასთან, მძიმე და მოუხეშავია. „ეხლანდელი ყმაწვილი კაცები ორ წყალ შუა არიან, ამბობს იგი, იმით არ იციან, რომლის ენით სწერონ: სამღვთო წიგნურის ფორმით, თუ შეჰქმნან პროზა საერო ენაზე. ჰგრძნობენ სამღვთო წიგნურის ენის სიმძიმესა და ურგებობას და ამასთანავე შიშობენ წერას საეროს ენის ფორმითო“.[3] მაგრამ ლ. არდაზიანი მტკიცედ ვერა სდგას თავის პოზიციაზე. საეკლესიო ენა თან მძიმე ენად მიაჩნია, თან კიდევ, ჩამოაგდებს-რა ბაასს წარსულის შესახებ, ამტკიცებს, ქრისტიანობის წინა ხანაში იქნებოდა საქართველოში ლიტერატურა. რომ არ ყოფილიყო, „ვერც ასე მშვენიერის, დაწმენდილის, ნასწავლის ენით გადმოიღებდნენ თავისს ენაზე სამღვთო წერილსაო“. ამაზე პასუხს აძლევს ნიკოლოზ ბერძენოვი, რომელიც სწავლულ კაცად ითვლებოდა იმ ხანებში. „სამღვთო წერილის გადმოღებაში სწარმოებდა არა კაცობრივი სწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მადლით, რომელიცა შეიქმს არარაჲსაგან და გამოცხადდების საკვირველებათა მიერ. მოიგონეთ, რომ ჩვენ ენაზე სამღთო წერილი გადმოუთარგმნიათ წმინდათა მამათა, სახელდობ: გიორგი და ევთიმე მთაწმინდელთა“.[4] ენის განვითარების საქმისათვის სწავლას, კანონებს და ამა თუ იმ ფორმების გამოთქმისას ნიკოლოზ ბერძენოვი დიდ მნიშვნელობას არ აძლევს. „მერწმუნეთ, ამბობს იგი, ვისთვისცა ღმერთსა მიუნიჭებია ნამდვილი შრომის მოყვარეობა, სწავლის მიდრეკილება და ნიჭიერება, ის უკადმეოთაც წავა იოლათო“.[5] ამ თეოლოგიურ აზროვნებას არ ეკამათებოდნენ, ხოლო ღვთის ანაბარა საქმის მიტოვებას მაინც ვერ ჰბედავდნენ. კიდევ და კიდევ გაისმა ხმა ერთგვარ ენის შემოღების საჭიროებაზედ. უპირატესობას საერო ენას აძლევენ და საეკლესიოს მძიმე ენად სთვლიან. თ. ალექსანდრე ორბელიანი მომხრეა იმ ენისა, რომლითაც უწერიათ რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი და „ვეფხის ტყაოსანი“. მაგრამ ამასთან ორბელიანის აზრით საჭიროა შესწავლილი იქმნას კანონები ქართულ ენისა „შემოკლებული სწორე ქართული გრამატიკა უნდა იქმნეს შედგენილი. „ვინც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნენ ქართულის სიტყვიერების განსჯისა და იმის წარმატებისათვის. ეს იქნება კარგი შექცევა და სასარგებლო ჩვენი ცისკრისაო.[6] ოდონდაც კარგი „შექცევა“ იქნებოდა. მაგრამ ამგვარ „შექცევისთვის“ დღესაც ვერ მოუცლიათ ჩვენებურ მწიგნობარ ინტელიგენტებს. მეცნიერ ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემაც სთქვა თავისი სიტყვა ამ საგნის შესახებ. ეს სიტყვა, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მაინც საინტერესოა. დიმიტრი ბაქრაძე წინააღმდეგია გრამატიკისა. „მე არა მწამსა ესა: გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებელია, როგორც ლოღიკის კანონებით—მსჯელობა... მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში, აგრეთვე შემდეგში ქართველთ არა ჰქონიათ დაწერილი გრამატიკა, მაშ რუსთველმა და ჩახრუხაძემ, ვახუშტმა და საბა ორბელიანმა რომლის კანონებით ისწავლეს სამშობლო ენა? რასაკვირველია არც თქვენ იფიქრებთ და არც სხვანი იფიქრებენ, რომ ამ მწერალთა თხზულებებში ენისა და მის კანონების წინააღმდეგი იყოს რამეო[7]... „მაშ რა უნდა ვქნათ? ვალი გაქვთ ვკითხოთ, ამბობს ბაქრაძე... ამ საგნისათვის ჩვენ გვაქვს ორი წყარო, ანუ ორი ღონისძიება: პირველი—თვით ცხოველი საზოგადო თუ დარბაისრული ენა, მეორე—ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცვენ უკეთესს საზოგადო საუბარსაო[8]“. დიმიტრი ბაქრაძის, როგორც მეცნიერ კაცის აზრი დიდის მოწიწებით იყო მოსმენილი. ალ. ორბელიანი, რომელიც გრამატიკას და კანონებს ითხოვდა, სავსებით იყო დაკმაყოფილებული. „მხოლოდ იმ ერთმა ღმერთმა იცის, სწერს იგი დ. ბაქრაძის წერილის გამო, ამ ჩემის გულის ამბავი, როგორ კმაყოფილებაში ვარ ეხლა მე... [illegible] ვინატრებ მრავალს წლების სიცოცხლესა თქვენსა კარგო დიმიტრი და ამასთანავე მიგულავთ მარადის თქვენადო“.[9]

რომ გადავავლოთ თვალი ზემონათქვამს, უნდა იქმნას აღნიშნული „ცისკრის“ თანამშრომელთა მოუმზადებლობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. განა უცნაური არ არის, მეცნიერმა სთქვას ენის კანონების შესწავლა არ არის საჭიროო? რუსთველს არ შეუსწავლია და ნახეთ რა ენით სწერსო! ჯერ ერთი არ ვიცით, შეუსწავლია თუ არ შეუსწავლია. იმ ხანაში განათლება საქართველოში სხვადასხვა იყო. შოთას ბიოგრაფია გამოკვლეული არ არის და ამის შესახებ გადაჭრით არა ითქმის რა. მაგრამ თუნდაც შესწავლილი რომ არა ჰქონოდა, განა აქედან გამომდინარეობს გრამატიკის შედგენის ურგებლობა? არა გვგონია. მართალია, ლოღიკური მსჯელობა ლოღიკის კანონების ცოდნისაგან არ გამომდინარეობს, მაგრამ განა საჭმელების მონელების პროცესი გამოდინარეობს სტომაქის ორგანიზაციის კანონის ცოდნისაგან. მაშ მოდით, ნურც ანატომიას და ფიზიოლოგიას ვისწავლით! რაც შეეხება საეკლესიო და საერობო ენებს, აქაც ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონდათ ერთისა და მეორის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. ფრიად საყურადღებო მასალას ვპოვებთ ახლად გამოცემულ აკადემიკოს მარის „Житіе св. Григорія Хандзтійскаго“-ში (შრომაჲ და მოღვაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და სხვა.). ეს ნაწარმოები მეათე საუკუნეს სასულიერო მწერლობას ეკუთვნის. ნ. მარი ამბობს ამ ნაწარმოების ენის შესახებ: „ლიტერატურულ ღირსების მხრივ იგი ნაწარმოები სპეციალისტთა თვალში სწორედ რომ საკვირველებაა (მხილებაა). გაოცებთ არა წინა საუკუნოებში შემუშავებული სისრულე მწიგნობრულის ენისა, არამედ ცოცხალი თავისუფლება ქართულ ენისა, სიადვილე სტილისა და მისი ტენდენცია ცოცხალ ენასთან დაახლოვებისა. ეს იმგვარი თვისებებია, რომელთა შესახებ მეცნიერებაში გამეფებული იყო აზრი, ვითომ იგი შემოტანილი იყო საერო მწერლების მეოხებით, ორი საუკუნით უფრო გვიან“[10]:

სასულიერო და საერო ლიტერატურათა შორის განსხვავება თუმცა თვალსაჩინოა, მაგრამ მათ შორის ისეთი ღრმა უფსკრული და განხეთქილება არ ყოფილა, როგორადაც ჩვეულებრივად ჰგონიათ. აკადემიკოსი მარი იმ გამოკვლევაში, რომელიც საშუალო საუკუნის სამირ პოეზიას ეხება, სხვათა შორის ამბობს: „ყურადსაღები საგანია გამო

---

[*] იხ. „სახალხო გაზეთი“ N 463.

[1] N 12. 1859 წ.

[2] Ibid.

[3] N 9 1859 წ.

[4] № 10. 1859.

[5] ibid.

[6] N 4, 1860 წ.

[7] N 8 1860 წ.

[8] № ibid.

[9] N 9. 1860.

[10] Житіе св. Григорія Хандзтійскаго. Тексты и Разысканія, книга VII, стр. VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ულტიმატუმის მეორე პუნქტი აცხოველებდა, რადგან იგი სპობს ყოველნაირ ფიქციას სპარსეთის დამოუკიდებლობისას, ვინაიდგან, გაზეთ „რეჩის" არ იყოს, მას მხოლოდ მაშინ ექმნებოდა მნიშვნელობა, თუ რუსეთი და ინგლისი საფინანსო დახმარებას გაუწევდნენ სპარსეთს.

ეხლა, როგორც გაზეთ „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი გადმოგვცემს თეირანიდან, რუსეთის მისიაში მის კითხვაზე: „რამდენად საფუძვლიანია ის აზრი, ვითომც მთელი კონფლიქტი მხოლოდ პირველი ნაბიჯი და საბაბი იყვეს სპარსეთის დაყოფისა"—. უპასუხნიათ: ეგ აზრი, რომ მართალი იყვეს, მაშინ ულტიმატუმში ისეთი მოთხოვნები იქნებოდნენ წამოყენებულნი, რომელთა შესრულებაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა სპარსეთისათვის, რაც ნამდვილად არ არისო. რუსეთსა და ინგლის სპარსეთში მხოლოდ status quo-ს დაცვა სურთ, ხოლო სპარსეთის მიერ ულტიმატუმის აღსრულება კი საფუძვლად დაედება ჩვენს და სპარსეთის შორის კეთილ განწყობილების დამყარებასაო, რასაც ამ ბოლო დროს სპარსეთი ეგრე ძლიერ გაურბისო. სპარსეთის დაყოფაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. იმავე კორესპონდენტის სიტყვით სპარსეთის მთავრობა და დეპუტატების უმრავლესობა მზად არიან ულტიმატუმის პირველი და მესამე პუნქტები მიიღონ, ხოლო მეორე პუნქტი კი დიდ ყოყმანს იწვევს.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა რუსეთს სურვილი სპარსეთის დანაწილებისა, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ რუსეთის უკანასკნელმა ნაბიჯმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოდ მთელს დასავლეთ ევროპაში და კერძოდ კი ინგლისში, რადგან, ვიმეორებ, რუსეთის სპარსეთის მიმართ მოქმედება ყველამ ისე ახსნა, თითქოს რუსეთი სპარსეთის დამოუკიდებლობის მოსპობას აპირებდა. როგორც ვიცით, რუსეთი სპარსეთში ინგლისის თანხმობით მოქმედებდა და სწორედ ინგლისშივე გაისმა პროტესტი რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ: პრესა, კლუბი და სალონები ერთხმად მოითხოვდნენ გარეშე საქმეთა მინისტრის სერ გრეისაგან, შეაჩერეთ რუსეთიო. ამისათვის, ვფიქრობთ, თუ რუსეთს მართლაც აზრად ჰქონდა სპარსეთის დანაწილება, უეჭველია, რუსეთის მართველობის აზრის ევოლიუციაზე გავლენა ექნებოდა ინგლისთან მოლაპარაკებას, რადგან ინგლისის, როგორც ევროპის ერთი უძლიერესის სახელმწიფოს მეგობრობა, რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელია.

ხტუმარი.

ფრენა სოხუმში

27 ნოემბერს ნაშუადღევის ორ საათზე, ქალაქის მოედნიდან აფრინდა გ. ა. ა. კუზმინსკი. ხალხი დილის 12 საათიდანვე გროვდება. 2 საათზე უკვე დიდი ხალხი თავმოყრილი. წესიერებას მთავრობის მოხელენი და ჯარისკაცები იცავენ.

ყველა გულის ფანცქალით მოელის ავიატორსა და მის გაფრენას. საათის სამის ნახევარზე გამოჩნდა ავიატორიც. სწორედ სამ საათზე ავიატორი თავის ალაგას დაჯდა და მოხდენილად გაფრინდა. აპარატი სამოც საჟენის სიმაღლეზე აფრინდა, სამჯერ მოხდენილად და ლამაზად შემოუარა ქალაქის ერთ ნაწილს და გაემართა დასავლეთისაკენ, საითაც ექვსი-შვიდი ვერსის მანძილზე გაფრინდა. დასავლეთიდან კი პირდაპირ მოედნისაკენ გამოემართა და ძლიერ მოხდენილად და სრულიად უვნებლად დაეშვა მოედნის შუაგულ ალაგას. ხალხი აღტაცებაში მოვიდა და ტაშის-ცემით და ვაშას ძახილით შეხვდა ავიატორს. ფრენას მშვენიერმა წყნარმა ამინდმაც შეუწყო ხელი. ფრენამ ცხრა წუთს გასტანა. აპარატი ბლერიოს სისტემისაა, პატარაა და ძლიერ ლამაზი. როგორც ავიატორი ამბობს, ამ აპარატით გადმოფრენილა ვასილიევი პეტერბურგიდან მოსკოვში.

ახარი.

სამეგრელოს სახალხო

სკოლების დაქვეითების მიზეზი

(დასასრული *)

ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი ის დაწესებულებაა, სადაც ჯერ კიდევ არ დავიწყებულა ცნობილი აშორდიის ფრიად ცნობილი მოძღვრება. ფოთის სამოქალაქო სასწავლებელმა მხოლოდ ბოლო დროს მიაგნო ეროვნულ გზა-კვალს. მეორე კლასიან სკოლებს, რასაკვირველია, არ შეიძლება სერიოზულად მოითხოვოს ცოდნით აღჭურვილ სახალხო მასწავლებლების მომზადება, სანამ ამ სკოლებს საოსტატო სკოლებად გადააკეთებენ, როგორც ეს განზრახულია. დარჩა ერთი-ღა, სენაკის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც თავის თავად მასწავლებლის ხარისხს ვერ აძლევს თავის მოწაფეს და სადაც ამ დროის პირობებში სამშობლო ენის ჯეროვნად დაყენება ყოვლად შეუძლებელია... ხშირად მწარეა სიმართლე, მაგრამ მაინც სიმართლე სჯობს სიცრუეს...

იყო კი დრო, როდესაც ეს სასწავლებელი განთქმული იყო ქართულის ენის ცოდნით. ეს იყო განსვენებულ მასწავლებლის ნიკო ქარაიას დროს (ძმა ცნობილის პეტრე ქარაიასი). „ვეფხის-ტყაოსანი", „დავითიანი", „თამარიანი", „საქართველოს ისტორია", „ჯეჯილის" მოთხრობები, „ცდა" და სხვა რამე ზეპირად იცოდნენ მისმა მოწაფეებმა.

მაშ საიდან უნდა იცოდნენ ჩვენმა მასწავლებლებმა ქართული ენა, რომ შეგნებულად, თავგანწირვით და საპიროებისგვარად გადასცენ იგი თავის მოწაფეებს?!? „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების"—ხშირად ამბობდა განსვენებული ნიკო. ეს სამარადისო ჭეშმარიტებაა, რომელიც თავის არსებობით კაცობრიობას გადარჩება...

და მართლაც, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების". როგორ უნდა ასწავლონ ჩვენმა მასწავლებლებმა სამშობლო, ქართული ენა თავიანთ მოწაფეებს, როცა თვითონ ნაკლებად იციან იგი და ხშირად არავითარ ზომებს ღებულობენ მის შესასწავლად! ვიცი, „საუკეთესო მასწავლებლები", რომლებიც „ბირჟევია ვედომოსტებს" და „რეჩს" იწერავენ საკუთარ ხარჯით და ქართულ გაზეთს კი არ წაიკითხავენ, თუნდ ძალად მიაჩეჩო. თვით მასწავლებლები არიან დამნაშავენი, რომ დღეს სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა დაქვეითებული და დაცემულია. არსებული რეჟიმი ამ შემთხვევაში მხოლოდ საბაბი და ერთი მიზეზთაგანია. სომხების და პოლონელების სკოლების დღევანდელი ვითარება საუკეთესო განმარტებაა ზემორე თქმულისა. რაც ოჯახში ხდება, ოჯახის თავს ეკითხება, და სამეგრელოს სკოლების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ პასუხს მომავალი ისტორიკოსი, სხვათა შორის, დღევანდელ მასწავლებელსაც მოსთხოვს.

*) იხ. „სახ. გაზ." N 461.

მოწერილი ამბები

კიცხის საზოგადოება (იმერეთი).

კვირას, 27 ნოემბერს, კიცხის საზოგადოების ყრილობა მოხდა. ყრილობას დაესწრნენ ადგილობრივი ბოქაული, ხარაგოულის ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველი, [illegible] ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი და ადგილობრივ ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველი და მასწავლებლები. განსარჩევი იყო საკითხი აქაურ ქალთა სკოლის შესახებ. ხალხი ცოტა დაესწრო. დამსწრეებმა აუხსნეს ხალხს ხსენებულ სკოლის დაარსების აუცილებელი საჭიროება. ვინაიდან ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ხალხის რიცხვის სიმცირის გამო, შეუძლებელი იყო, ურჩიეს შემდეგ ყრილობაზე დასაბუთებული აზრი წარმოთქვათ და ასეთ-სასარგებლო დაწესებულებაზე უარი არა სთქვან.

მთავრობის გადაწყვეტილებით. სკოლის შენობის ასაგებად საზოგადოებას მიეცა 2000 მანეთი და მასწავლებლის ჯამაგირად კი 700 მანეთი წლიურად.

აქ უკვე მეცადინეობენ წვრილ სესხის ამხანაგობის დაარსებაზე.

Топ.

პატარა ფელეტონი

დედა-მიწა...

სამაგალითო ნიმუში.

(ვუძღვნი ჩემიანთ).

დედა-მიწა...

მიწაა ჩვენი მშობელი.

მითი, შევსდგებით, შევისისხლხორცებით, ვითა ადამი თვით ღვთისა ქმნილი...

იგი გვზრდის და გვასაზრდოვებს, ვით შვილსა დედა მშობელი...

დედა-მიწა...

მიწაა—სახე, თვით სამოთხისა... აწ,—ნიადაგი მაღალ ღმერთისა...

თვითვე გამჩენმა: მითი ჰქმნა, მაზედ წარმოშვა მამა და ჩვენი მშობელი...

დედა-მიწა...

მიწაა-პირი, რომლის ბაგიდან გადმოჩუხჩუხებს ანკარა წყარო... მით წყურვილს უკლავს ყოველს შობილსა, გულსა უგრილებს დამწვარ-დაგულისა...

დედა-მიწა...

მიწაა, რომლისა მკერდზე, ვითა მინდორზე, მწვანეთ ბიბინებს მშრომლის ნაშრომი გლეხისა ყანა,—ჩვენი არსება...

მისივე ფერდზე, ვით ნუკრი ველზე, ფერადათ ჰყვავის ბალახ-ყვავილი, ყოველ ცხოველის დამატკბობელი, დამამხნევებელი...

ხოლო მის გულზე ზღვის და ტბის შუა, ვით წალკოტ შუა, ჰყვავის მთებ შორის ნატვრისა ვარდი, სურნელოვანი, თვალთა წარმტაცი. რომელს ევლება, ეთაყვანება, დასტენს-დაჭხარის გატაცებული ნაზი ბულბული...

დედა-მიწა...

დედაა, მიწა, ჩვენი მშობელი...

ხოლო ჩვენ-კია, მის ნაშობთ, დაგვივიწყნია მის ძუძუს ძარღვი მსაზრდოებელი, ვით უგნურ შვილსა დედა-მშობელი...

დედა-მიწა!...

დედაა, მიწა,—ამისი ურჩ[illegible]ბელი, მკვდარიც კი უნიადაგოა...

ხ. გლახაშვილი.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

პეკინი. სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის რესპუბლიკელთა მხრივ დანიშნა ბუტინფანი. რესპუბლიკელთა პირობები: განდევნა სამეფო გვარეულობისა, საიმპერატორო ოჯახის უზრუნველყოფა, ჰუმანიური მოპყრობა მანჯურელებისადმი. ექვს რევოლიუციონერთ, რომელნიც ტიანციზინს ავსტრიელთა კონცესიაში დაიჭირეს, მოკლე ხანში განთავისუფლებენ.

ხანკოუ. მცირე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს სამშვიდობო მოლაპარაკება შანხაიში გამართონ.

გაზეთებიდან.

მოსკოვი.

პეკინში მყოფი რუსეთის საელჩო უარჰყოფს ხმას, ვითომც რუსეთს განეზრახოს დალაი-ლამას დახმარება.

ხარბინი.

მუკდენიდან იუწყებიან, მონღოლეთის ექვსი მთავარი ირკუტსკს გაემგზავრაო. მათ განზრახვა აქვთ რუსეთს დახმარება სთხოვონ მონღოლეთში ავტონომიის დასამყარებლად.

ბრიუსელი.

შანხაიდან იუწყებიან, რევოლიუციონერთა მთავრობამ გამოაცხადა, იუანშიკაიმ კაცები დაიქირავა რევოლიუციონერების ბელადთა დასახოცადო. მოსყიდულ მკვლელთა შემპყრობელს საჩუქარი მიეცემათ.

ბერლინი.

ეტყობა, ჩინეთში დროებითი ზავი დაურღვევიათ. შანხაიდან ამბავი მოვიდა, მთავრობის ნანკინში მყოფ ჯარის გენერალი ჩჟანი მოკლესო. რევოლიუციონერებმა მთავრობის ჯარს გზა მოუჭრეს და ორი ხიდი ააფეთქეს. შანხაიში მყოფი გერმანიის ელჩი უარჰყოფს, ვითომც იმპერატორის ჯარისთვის გერმანელ ვაჭართ იარაღი მიეყიდოთ. გერმანელთა საქონლის ბოიკოტი გაძლიერდა, გერმანელთა სავაჭროებში მსახურთა თითქმის ნახევარი რიცხვი დაითხოვეს.

გრძელი თმის მნიშვნელობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამას წინად გამოცხადებულ ბრძანებას რეგენტის, რაც ყველას ნებას აძლევს თმა მოიკრიჭოს. აქამდე ევროპას გრძელი თმა ჩინელის ერის ჩვეულებად მიაჩნდა. ეს ტყუილია თურმე და გრძელ თმის ტარება მას შემდეგ შემოუღიათ, რაც ჩინელნი მანჯურებმა დაიპყრეს და მინგთა გვარეულობა ტახტიდან ჩამოაგდეს. გრძელი თმა ჩინეთში მონობის სიმბოლო ყოფილა ამიტომ ამ ჩვეულების მოსპობა და თმის მოკრეჭა მანჯურთა გვარეულობის მეფობის მოსპობას უდრის.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები.

30 ნოემბერი.

ტრიპოლი. მხედართა სამმა ბატალიონმა და სამმა ბატარეამ, რომელთაც აინსარიდან გაილაშქრეს, დასწვეს არაბთა ბანაკი ბიედდინთან და შემდეგ კი მეორე—გარიანთან ახლოს.

ბენგაზი. ბედუინთა რამოდენიმე გუნდმა უშედეგოდ სცადა იტალიელთა პოზიციებზე თავდასხმა ტუბრუკში ყოველივე უცვლელადაა.

გაზეთებიდან.

ექიმმა დილონმა „დეილი ტელეგრაფს" დეპეშა გამოუგზავნა, პარიზში დარწმუნებულნი არიან, იტალია და ოსმალეთი ჩქარა ზავს ჩამოაგდებენო. რასაკვირველია, ოსმალთა პარტიებს ომის განგრძობა ჰსურთ. მაგრამ ამ დღეებში ოსმალეთის მთავრობას ზოგიერთი გავლენიანი პირი არაოფიციალურად ურჩევს ზავის ჩამოგდებას და ოსმალეთიც მათ აზრს ვერ უარჰყოფს. იტალიელთა უკანასკნელმა გამარჯვებამ ისეთი მდგომარეობა

კვლევა იმ მსგავსებისა, რომელიც საერო და სასულიერო პოეზიათა შორის არსებობდა საქართველოში. სასულიერო პოეზიამ, აშკარაა, ბიზანტიიდან და საზოგადო საქრისტიანო აღმოსავლეთიდან შეითვისა სახე და მანერა სამწერლო შემოქმედებისა. ხოლო საერო პოეტები თავიანთ ნიჭს ავარჯიშებდნენ მუსულმან-ირანის ლიტერატურის ნიმუშებზე. ეს ორი ნაკადული ქართულ მწერლობისა თამარ მეფის აყვავებულ ხანაში ერთ დიდ ნაკადად არ ქცეულა, იმ გაშლილ მდინარედ, რომელიც ხალხურ კულტურის მთლიანობის მაჩვენებელი იქნებოდა. ერთ ნაკადში ისახებოდა გემოვნება გმირულად განწყობილ ფეოდალებისა და იმ ხანის ფაქიზად განათლებულ ქართველ საზოგადოებისა. მეორე ნაკადში ისახებოდა განწყობილება მონოზნურ ქრისტიანობისა. შემდეგში, ქართულ ისტორიის უბედურების ხანაში, საერო პოეტებმა დაახლოვებით შეითვისეს მოტივები და იდეალები მონოზნურ-ქრისტიანობისა. მაგრამ საკითხავია, იქნებ ძველ დროშიაც იყო ურთიერთობა საერო და სასულიერო პოეზიათა შორის? ამ აზრს ჰბადებს ერთი ლექსი, სინაში ნაპოვნი, პერგამენტის ხელნაწერი. იგია შობის დღის გამო ღვთისმშობლის ქებათა-ქება. ლექსის აკროსტიხი ფილიპე ზეთლემია. არ ვიცით, ვინ იყო პოეტი ფილიპე. საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ ქებათა-ქებაში რითმიან ლექს ვპოვებთ. რითმა მართალია ღარიბია, ორ-ს დაბოლოვებით. ხოლო ქებათა-ქების ლექსთ წყობა ცნობილი ლექსთწყობაა საერო პოეზიისა, 16 მარცვლიანი, თუმცა ოთხ სტრიქონიან ტაეპათ არ არის დაყოფილი. თუ დაახლოვებით მეთე საუკუნეს ეკუთვნის ეს ხელნაწერი, ჩვენს წინ ნაწარმოებია, რომელშიაც შოთა რუსთველის ეპოქაზე ადრე ხმარებულია ქართულ ხალხური ლექსთ-წყობა. ყოველ შემთხვევაში ეს ნაწარმოები ერთი ნიმუშთაგანია, რომელშიც სასულიერო და საერო ხასიათი გაერთიანებულია.[11] აქედამ, რასაკვირველია, მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვისაც ქართულ ენის შესწავლა სურს, ერთნაირის ყურადღებით უნდა მოეკიდოს, როგორც საერო, ისე სასულიერო ძველ მწერლობას.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ „ცისკრის" მიერ აღძრულ საგანს საამდროვო ხასიათი არ დაუკარგავს. დღეს ამ საკითხში ამერ-იმერელობის კილოების საკითხებიც ჩაექსოვა და მით იგი უფრო გართულდა. ამას წინად იგივე მოწოდება გაისმა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ნეტავი ვიცოდეთ, შევძლებთ თუ არა დღეს მაინც ამ ნახევარი საუკუნის წინად გამოთქმულ ნატვრის განხორციელებას?

მეორე ყურადსაღები საგანი, რომელიც აღიბეჭდა თუმცა ოდნავად „ცისკრის" ფურცლებზე „საქართველოს (უფრო კი თავად-აზნაურობის) ეკონომიური გადარიბებაა. 1850 წელს ვორონცოვის თაოსნობით ტფილისში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება დაარსდა. ამ საზოგადოების დაარსების აზრი იყო აღდგენა მატერიალური კულტურისა და ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობისათვის. საზოგადოება კი დაარსდა, 1855 წლიდან მან შრომებიც გამოსცა, მაგრამ, როგორც აღნიშნავს „ცისკარი", გაუმჯობესობა მეურნეობისა ისევ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ალ. სავანელს, რომელიც შეეხო ამ საგანს, ეგონა, თავი და თავი მიზეზი საზოგადოების უნაყოფობისა ის იყო, რომ იგი დაახლოვებული არ იყო ქართველ საზოგადოებასთან. „შრომა ამ საზოგადოებისა იბეჭდება რუსულ ენაზედ, რომლის ცოდნას ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან, არამთუ მცხოვრებნი გლეხკაცნი, არამედ თვით ჩვენნი მებატონენიც და ამისთვის შრომა საზოგადოებისა... იბეჭდება თვით საზოგადოებისათვისო... შრომა და განზრახვა კავკასიის საზოგადოებისა სოფლურის სახლოსნობისა არ მიიღწევს ყურთამდი კავკასიის მცხოვრებთა, რომლისთვისაც დადგენილ არს საზოგადოება ესე და რომელთაზედ უნდა აქცეს განსაკუთრებითი თვისი ყურადღებაო"[12]. მართალი თქმაა, ეს ჭეშმარიტება მხოლოდ სამოცი წლის შემდეგ შევიგენით და მხოლოდ ეხლა დავაარსეთ ქართული სამეურნეო საზოგადოება. მაგრამ საქმე მარტოოდენ საზოგადოების დაარსებაში არ არის. ქართულადაც რომ გამოეცა იმდროინდელ საზოგადოებას თავისი ნაშრომი, ნაყოფი მოქმედებისა მაინც მცირე იქნებოდა. ჩვენ იმ ხანაში დიდ ეკონომიურ ცვლილებას განვიცდიდით, საჭირო იყო ჩახედვა ამ ცვლილების სიღრმეში, ალ. ორბელიანს ერთს თავის წერილში „ჩვენი საქართველოს საზოგადოება" თითქოს ჰქონდა წადილი ამგვარის ჩახედვისა. ზოგი რამ მის მიერ აღნიშნული მართალი იყო, მაგრამ მის ძალღონეს აღემატებოდა საგნის გათვალისწინება ისტორიული სინამდვილის მიხედვით. „ისე გაღარიბებით, ამბობს იგი თავად-აზნაურობის შესახებ, რომ ღარიბ გლეხ კაცებზედ უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისთვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგსამ"...[13] „აღარც თოფი, აღარც ხმალი,—ვმადლობ ღმერთსა, განაგრძობს იგი. მაშასადამე, რაღაც მნიშვნელობაა, იქ რა არის საჭირო? —სწავლა განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი, გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ეხლაო[14]". მაგრამ ვინ იყო გამგონი? ქართულ თავად-აზნაურობას სხვა გვარი ინტერესები გაუჩნდა იმ ხანაში, იგი შეპყრობილი და გატაცებული იყო სხვა რამეთი. ამ საგნის გათვალისწინებისათვის საჭიროა დავსვათ ერთი საკითხი: რა იყო თ. ვორონცოვის პოლიტიკა, ეკონომიურ-სოციალურის მხრივ რომ შევხედოთ ამ საგანს?

თ-დ ვორონცოვს განსაზღვრული ხასიათის სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდა. ეკონომიური აღორძინება ქვეყნისა, მისის აზრით, განათლების დაუხმარებლივ, შეუძლებელია. თავი და თავი განათლებაა, მაგრამ ხალხის გულამდე განათლება ასე ადვილად ვერ აღწევს. საჭიროა შუამავალი. ამ შუამავლად უნდა იყოს თავად-აზნაურობა. და ვორონცოვი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა აღემაღლებინა და გაემაგრებინა სოციალური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა. არ შეუშინდა ეროვნულ განსხვავებასაც. ხელი შეუწყო ეროვნულ კულტურის აღორძინებას. ამ მხრივ მისი ცდა მართლაც ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო რაც შეეხება თავად-აზნაურობის სოციალურად გამაგრებას, შედეგი აღმოჩნდა სრულიად წინააღმდეგი.

წინად ასე თუ ისე, თავიანთ ბუდეებში ისხდნენ მებატონეები და სჯერდებოდნენ იმას, რასაც აძლევდა მათ მუქთი ბატონ-ყმური შრომა. ახლა ტფილისში გაჩაღდა სხვა გვარი ცხოვრება. სასახლე ის ცენტრი იყო, რომელსაც მიესია თავად-აზნაურობა. ყოველი წყალობა, ყოველი სიკეთე აქედამ გამოდიოდა. თ-დ. ვორონცოვი უხვად აწესებდა ქართველებს სამხედრო თუ სამოქალაქო უწყებებში. ყოველ-გვარი სამსახურის კარი ღია იყო თავად-აზნაურობისთვის. და იგი დაეწაფა კიდევაც ამ სამსახურს. შემოსავლიანი ადგილები, მხიარული დროს გატარება, ნადიმები და დღესასწაულები—ყოველივე ეს სოფლიდან იზიდავდა მებატონეს ქალაქისაკენ. თ-დ. ვორონცოვის გეგმა გარეგნულად მომხიბლავი იყო იმ წოდებისთვის, რომელიც გაება მის მახეში. საქმე ის არის, რომ ყველა ამასთან ტფილისში დაარსდა ნამესტნიკის თაოსნობითვე „ერთგვარი სათავად-მამულო ბანკი „პრიკაზი". Приказъ Общественнаго Призрѣнія). ამ ბანკის დაარსების აზრი ის იყო, რომ მემამულეს სესხის აღება შესძლებოდა და ეს სესხი მამულის კულტურისთვის მოეხმარა. როგორც ფუტკარი თაფლს, ისე დაეხვივნენ ჩვენი მემამულენი ამ „პრიკაზს". სესხი მამულის გაუმჯობესობას რასაკვირველია, არ მოხმარდა. იმ დიდკაცურ ცხოვრებას, რომელიც გაჩაღდა ტფილისში, ცოტა ხარჯი კი არ უნდებოდა. მაგრამ მამულების დაგირავების დროს არც „პრიკაზმა" ნახა ხეირი. უმეტეს შემთხვევაში მამულები გამიჯნულნი არ იყვნენ. „პრიკაზი" იგირავებდა და დანამდვილებით არც კი იცოდა, რას იგირავებს. სარგებელი არავის შეჰქონდა. ბევრს თავად-აზნაურს ეპატია კიდევაც ეს ვალი. შედეგი ამისი ის იყო, რომ მემამულეს მადა გაეხსნა და თავის მამულს იმ დროიდან ვაჭრულის თვალით დაუწყო ცქერა. სანამ ვაჭარი გაუჩნდებოდა, იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახა მისგან. და საგულისხმო გარემოებაა, ბატონყმური უღელი ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა წლებში, მაშინ, როდესაც უკვე მოლოდინი იყო თავისუფლებისა, კიდევ მეტად დამძიმდა და აუტანელი გახდა ხალხისათვის. ასე რომ სოციალ-ეკონომიურის მხრივ თ-დ. ვორონცოვის ეპოქა დამღუპველი იყო თავად-აზნაურობისთვის.[15] შემდეგში თ-დ. ბარიატინსკის და დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ხანაში საბოლოვოდ გადასწყდა ბედი ჩვენი მოწინავე წოდებისა. და ახლა თავად-აზნაურული წრის ქალი თუ კაცი დაეძებს ჩვენში გაშმაგებულად „სამსახურს", ეს ქალი და კაცი თავად-აზნაურულ ბუდეებიდან აყრილი მონაშენია. და ახლა თუ ვინმე წყალობის და შეწყალების მოლოდინშია კიდევ ჩვენში, ისევ ის ვორონცოვის მიერ გამოჩეკილ კეთილშობილთა უსაქმო რაზმებია.

მართალია. ამ გარემოებას, ე. ი. თავად-აზნაურთა წოდების დაცემას და მიწის მობილიზაციას სხვა შედეგიც მოჰყვა. სხვა ელემენტები გამოდიან ასპარეზზე: წვრილი მესაკუთრე ქართველებში, მსხვილი ბურჟუაზია სომხებში. და თუ პირველ სანამესტნიკოში სასახლეს გარს ერტყნენ ქართველები, ეხლა სომხების ჯერი მოდგა. თუ წინად პატივი „კეთილშობილებას" ჰქონდა, ახლა იგივე პატივი სქელ ჯიბეს მიენიჭა. მოხდა დიდი და ღრმა ცვლილება. და ჩვენთვის ახლა უფრო გასაგები იქნება, თუ რატომ იჩინა თავი თავად-აზნაურობაში შიშმა სწორედ იმ დროს, როდესაც გლეხთა განთავისუფლების საქმის შემუშავება და გამორკვევა დაიწყეს და დააკისრეს მას.

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება).

---

[11] Н. Марръ. Тексты и Разысканія, Кн. XII. Стр. X.

[12] № 7. 1859.

[13] № 10. 1859.

[14] ibid.

[15] Кавказъ и Кавказскіе намѣстники, Вѣстникъ Европы, 1906 г. N 7. Н. Г. Малѣевскаго зубка.

შეჰქმნა, რომ შეიძლება შემდეგი საფუძველი დაედოს მოლაპარაკებას: ტრიპოლის ანექსიის აღიარება, ხონთქრის უფლების დაცვა, როგორც ხალიფისა, საეკონომიო უპირატესობანი და ფულის გადახდა, თუ ოტომანთა იმპერიის ხელუხლებლობას დაიცავენ.

პარიზი.

„ჰუმანიტე" პროტესტს აცხადებს ოფიციოზის მიერ გავრცელებულ ცნობის გამო, ვითომც საფრანგეთი დარდანელის საკითხში იმას მიემხრობა, რასაც რუსეთი იტყვისო.

ტრიპოლი.

გაზ. „უტრო როსიის" საკუთარის კორესპონდენტისაგან შემდეგი დეპეშა მისვლია: ოსმალნი ისევ განაგრძობენ უკან დახევას. იტალიელებმა სამი ზარბაზანი კიდევ წაართვეს მტერსა.

იტალიელები აინზარს ძალიან დიდის გულმოდგინებით ამაგრებენ. ჰსურთ, რამდენიმე ბატალიონი ჩააყენონ და ბატარეია იქონიონ. იტალიელებმა მზვერავთა რაზმი გააძლიერეს და მიდამოებს კარგად ათვალიერებენ. ოაზისში შიში და ძრწოლაა. ბევრმა არაბმა მორჩილება გამოაცხადა. შეიძლება ომის პირველი ხანა გათავებულად ჩავთვალოთ. იტალიელთა და უცხოელთა ბევრი კორესპონდენტი უკან ბრუნდება.

წუხელის 14 არაბი ჩამოახრჩვეს, რადგან იარაღი უპოვნეს. ყველგან მშვიდობიანობაა.

სტამბოლი.

აქაური გემის პატრონნი აცხადებენ, დარდანელთან ძველ გემების ჩაძირვის წინააღმდეგნი არ ვიქნებით, თუ სავაჭრო გემებისთვის პატარა გზას დასტოვებენ. ამ შემთხვევაში ოსმალეთის მთავრობამ ბუქს. რიანი გემებიდან დახელოვნებულნი მეზღვაურნი უნდა გაიჩინოს. გემის პატრონები მაინც დიდად წინააღმდეგნი არიან დარდანელში ნაღმის ჩაწყობისა.

კონტრაბანდა.

ათინიდან „ტრიბუნას" დეპეშით ატყობინებენ: პირეიდან სმირნას მოსულმა რუსის აფიცერმა განაცხადა, გემზე იარაღი შევამჩნიეო. ელჩმა ეს რომ გაიგო, იარაღის ყუთს ყადაღა დაადო. ამბობენ, იარაღს „ერის დაცვის კომიტეტი" სირიაში ჰგზავნიდა, მაჰმადიანთა შესაიარაღებლადაო.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები

1 დეკემბერი.

პეტერბურგი. „როსსია" სწერს: „ყაზვინში მყოფი ჯარი წინ წაიწევს არა 8 დღეზე ადრე, თუ განსაკუთრებითმა შემთხვევამ იძულებულ არ ჰყო თეირანში მყოფი რუსეთის ელჩი აღნიშნულ ვადაზე ჯარი დაიბაროს. რუსეთი იძულებული იყო სპარსეთში ჯარი გაეგზავნა მას მერე, რაც სპარსეთის მთავრობას აუცილებელი წაუყენა. რუსეთს აზრად არა აქვს, დაარღვიოს მეზობლის დამოუკიდებლობა და შემადგენლობა. თავის-თავად იგულისხმება, რომ როგორც კი რუსეთის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ, ყაზვინში რუსეთის ჯარის დადგომა საჭირო აღარ იქნება, თუ, რასაკვირველია, საქმის ახალი გართულება არ მოხდება ჩვენსა და სპარსეთს შორის. როგორც, მაგალითად, თავდასხმა რუსეთის მოხელეებზე და სხვა". გაზეთი უარჰყოფს იმ აზრს, ვითომც რუსეთი დახმარების გაწევას ჰპირდებოდეს ძველ შაჰს; იგი სწერს: „რუსეთის მთავრობა ნებას არ მისცემს, რომ ძველი შაჰი რუსეთის ჯარს თეირანში ფეხ-და-ფეხ შეჰყვეს. თუ ეს რაიმენაირად მოხდა, რუსეთი წინააღუდგება მის ტახტზე ასვლას, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე ახალი შეთანხმება არ მოხდა რუსეთსა და ინგლისს შორის. რუსეთის მოქმედებას საფუძვლად უძევს მხოლოდ სრული თანხმობა ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებასთან.

ვაშინგტონი. ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენლებმა პალატაში შეიტანეს წინადადება, რითაც მოითხოვენ ცნობებს შუსტერ-სპარსეთის ხელშეკრულებისას და აგრეთვე შეტყობინებას, რა ზომები მიიღეს შუსტერის დასაცველად, როგორც ამერიკის მოქალაქისა.

გაზეთებიდან.

გაზ. „რეჩს" პარიზის კორესპონდენტი სწერს:

რუსეთის ეხლანდელ ექსპედიციას დასავლეთ ევროპაში ყველა ჰგმობს და საჰოჭმანოდ მიაჩნია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, დაე, რუსეთი ნუ მიაქცევს ყურადღებას გერმანიისა და ავსტრიის პროტესტებს, მაგრამ ანგარიში არ უნდა გაუწიოს მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოთა აზრსაო.

მართალია, ინგლისი და საფრანგეთი ოფიციალური ხელშეკრულებით არიან შებოჭილი და თეირანისაკენ წასულ ჯარის შესახებ პეტერბურგიდან ორივე გამოგზავნილ ცნობებს უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ ორივე სახელმწიფოს საზოგადოებრივი აზრი გადაჭრით ჰგმობს და არ მოსწონს რუსეთის პოლიტიკა, რაც უკვე მიტინგებსა და სხვა კრებებზე გამოაშკარავდა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი კი ძლიერი იარაღია და მთავრობაზედაც ყოველთვის დიდი გავლენა აქვს. ამიტომ გასაკვირველი არ იქნება, თუ რუსეთის დიპლომატია დამარცხდება, როგორც 1908-9 წელს დაემართა ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიაზე. ჩრდილოეთ სპარსეთის ოკუპაციის მაგივრად, შეიძლება თვით რუსეთის ინტერესები ძალიან შეილახოს და სახელიც გაუტყდეს. ეს იმას მიემატება, რაც ნაშაჰარის კონსტიტუციასთან ბრძოლაში დახმარებისათვის იწვნია რუსეთმა.

პარიზსა და ლონდონში აღელვებთ ის განზრახვა, რის ასრულებაც რუსეთს ნაშაჰარზე დაუმყარებია. აქა ჰსურთ როგორმე მოაგვარონ საქმე და გაჭირვებისაგან გამოიხსნან ახალ ცხოვრებისათვის გამზადებული უხუცესი ერი.

პარიზში იმედი აქვთ, საფრანგეთის დიპლომატია საქმეში ჩაერევაო. პარიზის პრესა, როცა სპარსეთის საქმეებზე ლაპარაკობს, კავშირს არ დაგიდევთ და თუ „ტანი" ჯერ კიდევ მხოლოდ რუსთა სისასტიკის და ინგლისის უკმაყოფილების თაობაზე ლაპარაკობს, სხვა გაზეთები საყვედურს უთვლიან რუსეთს ევროპის მშვიდობიანობის დარღვევისათვის. „ექსელსიორი", მაგალითად, ამბობს, „მთელმა ქვეყანამ რუსეთის დამარცხება უნდა ისურვოსო. „აქსიონის" აზრით, რუსეთი სპარსეთის დამცირებას სცდილობს. „ლანტერნი" სურვილს გამოსთქვამს, რომ ინგლისი და რუსეთი შეთანხმდეს სპარსეთში პროგრესიულ პოლიტიკის საწარმოებლადაო. „ჟილბლაზი" აღნიშნავს, „მოსკოველი დათვი სცდილობს თავის თათით სპარსეთის ლომი გასრისოსო".

იმავე გაზეთში ვკითხულობთ: ტყუილია და ჩვენმა გარეშე საქმეთა სამინისტრომაც უარჰყო, ვითომც სპარსეთს სურვილი განეცხადებინოს ულტიმატუმის შესახებ მოლაპარაკებისა, თუ რუსეთი ამ მოლაპარაკებას სარჩულად სპარსეთის ხელუხლებლობას დაუდებს. ჯერ პასუხი არც-კი მოსულა და არც რამ უთქვამს სპარსეთის მთავრობას. რუსეთი თავის მოთხოვნილებას არ დასთმობს და კომპრომისის თაობაზე ლაპარაკიც მეტია.

მართალი არ არის ზოგიერთ გაზეთის ცნობა, ვითომც რუსის ჯარი თეირანს მიახლოვებოდეს. ჯერ-ჯერობით ყაზვინშია და საით წავა, შემდეგ გადასწყვეტენ.

ეტყობა, რუსეთის მოთხოვნილებათა ასრულების მომხრენი უკანასკნელ დროს თეირანშიაც გამრავლდნენ. ამას, სხვათა შორის, სარდარ-ასადის მოწვევაც ჰმოწმობს—იგი ხომ რუსეთ-სპარსეთის მეგობრულ განწყობილების მომხრეა.

ბერლინი.

გერმანულ გაზეთების სიტყვით, სპარსეთში რუსეთის პოლიტიკამ ინგლისელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ამბობენ, ლონდონში მყოფმა რუსეთის ელჩმა ბენკენდორფმა გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს ურჩია, სპარსეთის საკითხი როგორმე მშვიდობიანად გადასწყვიტეთო.

გაზ. „რეჩს" ერთსა და იმავე დროს რუსეთის მოქმედება სპარსეთსა და ოსმალეთში უხერხულად მიაჩნია.

„ნოვოე ვრემია" გადაჭრით უარჰყოფს, ვითომც რუსეთი ჩრდილოეთ სპარსეთის შემოერთებას აპირებდეს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ნოემბერი.

საზღვარ გარედ

ვაშინგტონი. რესპუბლიკელთა ეროვნულმა კომიტეტმა გადასწყვიტა 1912 წლის 5 ივნისს რესპუბლიკის პარტიის წევრთა კრება მოიწვიოს და საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელოს. ეტყობა, ტაფტს ხელმეორედ აღარ აირჩევენ.

ლეიპციგი. შულცს, რომელსაც ინგლისისთვის სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნება ბრალდებოდა, შვიდის წლის კატორღა გადაუწყვიტეს, ინჟინერ კამსისს—თორმეტისა, დანარჩენთ — 1 წლიდან ვიდრე სამამდე.

ლონდონი. ლორდთა პალატამ ხმის უმეტესობით საზღვაო პრიზის ბილი უარჰყო.

საზოგადოებათა პალატაში გრეიმ და ლორდთა პალატაში კი მორლეიმ განაცხადეს,—მეფის სურვილი ინდოეთის ადმინისტრატიულის ცენტრის გადატანისა. ლორდმა ლენსდოუნმა სთქვა, რომ შეცვლა ცენტრისა მოულოდნელია და ფრიად საყურადღებო მობრუნებას ჰგულისხმობს პოლიტიკაში განსაკუთრებით იმიტომ, რომ დაკავშირებულია მეფის პირად ხარჯებთან. რაც უნდა სთქვან პალატებმა, მეფის მიერ სიტყვა უკვე ნათქვამია და მისი უკან წაღება შეუძლებელია. ამ საკითხის გარჩევა მომავალ სესიამდე გადაიდო.

პარიზი. პალატამ დაადგინა ხუთშაბათს საღამოს დაიწყოს მაროკოს ხელშეკრულების განხილვა. ხმის უმრავლესობით გადასწყდა, კამათი დაიწყონ საგარეო პოლიტიკის ინტერპელაციის შესახებ, მაროკოს ხელშეკრულების გარჩევის შემდეგ.

ვენა. გამოქვეყნებულია იმპერატორის რესკრიპტი დელეგაციათა. 15 დეკემბრისათვის ქ. ვენაში შეკრების გამო.

ვენა. დუმის ინტერპელაციის გამო, გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსეთის საელჩოს აცნობა გამოძიების შედეგი; გამოირკვა, რომ გატეხილია ორი ფანჯარა საელჩოს კერძო სადგომში; გერბი უვნებლად არის. ერთი ბოროტმოქმედთაგანი დაჭერილია და სასამართლოს გადაეცემა. მინისტრი არწმუნებს, რომ ყოველგვარ ღონისძიებას იქმნება მიღებული დამნაშავეთა აღმოსაჩენად და მათ კანონიერად დასჯისათვის.

ჩინეთი.

მელენი. ლეიტენანტი დენტონი, რომელიც ეტაპიდან გადაფრენის შემდეგ მიწაზე ეშვებოდა, სასიკვდილოდ დაშავდა.

რუსეთი.

ნოვოჩერკასკი. დაიხურა აგრონომების კრება. გამოითქვა სურვილი ერობის შემოღებისა ოლქში სააგრონომიო შემწეობის აღმოსაჩენად. ერობის შემოღებამდე საუკეთესო ზომად იცნეს სააგრონომიო-საკულტურო საქმეთა მოწყობა საოლქო რჩევათა შემწეობით.

პეტერბურგი. ტობოლსკის, ურალსკის, ტურგაისისა და აკმოლინის გუბერნატორებს ნება მიეცათ დახმარება გაუწიონ მოუსავლიობით დაზარალებულთ.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ქალაქის თავს მიანდოს პარიზის მუნიციპალიტეტის მოწვევა.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ ნორვეგიის სტორტინგთან არსებულ ნობელის კომიტეტის მდივნისაგან ცნობა მიიღო, რომ მან გამოგზავნა 34 დეპუტატისათვის დასარიგებლად 30 ცალი კომიტეტის ცირკულიარისა კანდიდატების დასარიგებლად ნობელის პრემიისათვის 1912 წელს.

საზღვარგარეთიდან დაბრუნდა გარეშე საქმეთა მინისტრი.

უფა. მოუსავლიობით დაზარალებულნი საზოგადო სამუშაოზე მარტოხელანი დღეში ათ შაურს იღებენ, ცხენიანნი მანეთს.

პეტერბურგი. გადასახლების სამმართველოს მიერ დაარსებულ იქმნენ ორგანიზაციები ტობოლის გუბერნიის მოუსავლიობისაგან დაზარალებულთა საზოგადო სამუშაოთა აღმოსაჩენად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადებულ იქმნა 120,000 მანეთი მანგიშლაკის მაზრაში წითელი ჯვრის სამი რაზმის გასაგზავნად.

უცხოეთი

მუშათა დაზღვევის ბილი ინგლისში. როგორც დეპეშებით ვიცით, საზოგადოებათა პალატამ ლოიდ ჯორჯის ბილი მუშათა დაზღვევის თაობაზე მესამეჯერ განხილვის შემდეგ მიიღო. კანონის განხილვის უკანასკნელი სხდომები მეტად საგულისხმო იყო და კონსერვატორებმაც დიდის რიხით გაილაშქრეს ამ ბილის წინააღმდეგ. მათ გალაშქრებას ნიადაგი მოუმზადა ხელზე მოსამსახურეთა და გადამწერ-მეკანტორეთა პროტესტმა. ამ პროტესტმა და ტრედ-უნიონების ფედერაციის მდივნის ებლტონის განკარგულებამ, რამაც კანონის ზოგიერთი უხერხულება იყო აღნიშნული, კონსერვატორებს ნება მისცა მუშათა ინტერესების დასაცავად გამოსვლისა.

რასაკვირველია, ოპოზიციას იმედი სრულიად არა ჰქონია, თუ საზოგადოებათა პალატა კანონს უარჰყოფდა, ვინაიდან მისი მიღება უზრუნველყოფილი იყო. ამას გარდა, მუშათა დაზღვევის საწინააღმდეგოდ შეტანილი შესწორება თვით კონსერვატორებს ავნებდა, ხალხის თვალში კონსერვატორებს სახელს გაუტეხდა; ამიტომ კონსერვატორებმა მოითხოვეს ბილის განხილვა შემდეგ სესიისთვის გადადებულიყო. ეს კი თითქმის მის გაუქმებას უდრიდა, რადგანაც შემდეგ სესიას ისეც ბევრი საქმე აქვს განსახილველი. 21 ნოემბერს კონსერვატორებმა შესწორება შეიტანეს და ბილის განხილვის გადადება მოითხოვეს. თავისი აზრი ამნაირად დაასაბუთეს. 1) კანონპროექტის ზოგიერთი მუხლი ისეა შედგენილი, რომ დაინტერესებულ პირთ ჯეროვან სარგებლობას ვერ მოუტანს; 2) ბილის მნიშვნელობა ხალხს არ ესმის, რადგან დაწვრილებით არ განუხილავს; 3) ბილის ზოგიერთ ნაწილს ხელმეორედ დამუშავება ეჭირვება. პალატამ კონსერვატორების შესწორება უარჰყო. მაგრამ ბევრი ხლართი კი მოუხდება ბილს, მით უმეტეს რომ იგი ლორდთა პალატაშიაც უნდა განიხილონ.

რუსეთი

ტოლსტოის მიმდევარი. ეკატერინბურგში სამხედრო ბეგრის მოსახდელად მოწვეულმა გრიგორიევმა საჯაროდ განუცხადა სამხედრო საკრებულოს: „მე ტოლსტოის მიმდევარი ვარ და ჯარის კაცად ვერ წავალო". განცხადებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე. გრიგორიევი დაატუსაღეს.

გათხოვილ ქალთა უფლებების გაფართოება. სასამართლოს რეფორმათა კომისიამ სახელმწიფო სათათბიროში მოხსენება წარადგინა გათხოვილ ქალთა პირად და ქონებრივი უფლებათა გაფართოებისა, მათთვის პასპორტის ქმრების თანხმობის გარეშე მიცემისა და ცოლ-ქმართა ურთიერთ შორის და შვილებთან დამოკიდებულების მოწესრიგებისა განქორწინების დროს.

მუშათა საკითხების კომისიაში. სახელმწიფო სათათბიროს მუშათა საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბარონი ტიზენჰაუზენი ხშირად თურმე, როდესაც კომისიის უმრავლესობა მის აზრს არ ეთანხმებოდა, ისეთ რედაქციას აძლევდა მათს აზრს, რომ ავტორები ვერც კი სცნობდნენ თავის აზრს. ამას წინად ნოქართა შესახებ კანონ-პროექტზედაც ორს დეპუტატს არც წაეკითხათ იგი, ისე მოაწერათ ხელი, ხოლო როდესაც შეიტყვეს, რომ მათი აზრი დამახინჯებული იყო, თვისი ხელ-მონაწერი ამოშალეს.

თეატრი და ხელოვნება

სახაზინო თეატრი. გუშინ, 30 ნოემბერს, საოპერო ამხანაგობამ ივ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულა ბალი-მასკარადი, ოპერა დჟ. ვერდისა 4 მოქმედებად, თარგმანი კალაშნიკოვისა. ოპერა მწყობრად იქმნა შესრულებული. აღმასრულებელთ შორის ერჩეოდნენ ბ. ლაზარევი ბოსტონის გუბერნატორის გრაფ ვარვიკის როლში, ბ. სოკოლსკი—მისი მდივნის რენატისაში ქ. ალეშკო რენატის ცოლისა და ქ. როსტოვსკაია გრაფის პაჟის ოსკარის როლებში; კარგი იყვნენ აგრეთვე ბ. ზერემეტიევი და პევცოვი, პირველი თომასა და მეორე კი მსაჯულის როლებში.

ქუთაისი. სამშაბათს, 6 დეკემბერს, ვარო მდივნის საბენეფისოდ ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება პოლ. ირეთლის პიესა „სოფლის გმირები". ამ პიესის აზრი აღებულია ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი".

შაბათს, 2 დეკემბერს, ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება პოლ. ირეთლის პიესა „კრიტინე".

კვირას, 4 დეკემბერს პირველად წარმოადგენენ „ზნეობის მცველს" დრ. 4 მოქ.

განცხადებანი

თმის საღებავი

კაკლის ექსტრაქტისა

თმას სწრაფად და ხანგრძლივად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711 თეოდ. მიულგენსი

მის იმპ. უდ. ხრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ ● რიგა.

დაარს. 1792



ფასი ფლაკონისა
1 მან. 20 კაპ.
დიდი ფლაკ. 2 მან.
Контр. 352138.
(9—1536—5)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. ბ. ჩაქობაძე: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღდანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. ბუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ზ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ა. გ. ბაბახანოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა.

კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—195)

სამშობიარო თავშესაფარი

მ. ი. პრ[illegible]

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საშვილოსნო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევს 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა. (26—913—22) ა. გ. კალამქაროვი.

გამოცდილი

◀ მასწავლებელი ▶

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. — მიღებულის პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს. ტეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე განაგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაკეზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, პანსიონში.

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижній звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.33)

ვიღებ საეკლესიო სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიათ მომმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.

(23—958—5)

აგენტი

მ. ა. გაჩონია

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტობა ლ. ე. მეტაცლისა და ამხ. და საკომისიონერო საზოგ. „ანონსისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილით 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო",	ფ. 75 კ.
„ „	წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა"	ფ. 80 კ.
„ „	წ. III. „ნააზრევი"	ფ. 65 კ.
„ „	წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ.	ფ. 85 კ.
Bato ს-ასა:	„ერი და კაცობრიობა"	ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	«[illegible]», ისტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს. კ. გ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ვურჩევთ

ბრინჯის ჰიგიენურ

● პუდრთა მეფეს ●

La Reine des poudres

სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).

◀ 1900 წ. პარიზის ოქროს მედალი ▶

პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

მთავარი საწყობი:

ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(11—1295—7)

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟორდულაშვილი.